მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“

სწავლის შედეგების შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს:

1.1.1.სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭირვალედ, წინასწარ შედგენილი შეფასების გეგმის მიხედვით.

1.1.2. პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების ადეკვატური ფორმები და მეთოდები, რომელიც მონაწილის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

1.1.3. სწავლის შედეგების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

მუხლი 2. სწავლის შედეგების შეფასების პროცესი

2.1.სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭირვალედ პროგრამის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

2.2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირების გზით. ამ მიზნით იქმნება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებების ანგარიში. ანგარიშში აღწერილია პროგრამის განვითარების შედეგები.

2.3. პროცესი ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ და მასში ჩართულია დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი (უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების ცენტრი ხარისხის მართვის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური), ტრენერები და სხვა დაინტერესებული მხარე.

2.4. პროცესში გათვალისწინებულია მოდულის შეფასებით მიღებული ინფორმაცია/ შედეგები.

2.5. პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ცოდნა და გაცნობიერება, უნარები (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება), დამოკიდებულები (ღირებულებები) რაზეც გადის თითოეული საჯარო მოხელე.

2.6. საჯარო მოხელე აღწევს სასურველ მაღალ შედეგს სათანადო სასწავლო აქტივობებში აქტიურად ჩართვის გზით.
2.7. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ითვალისწინებს:
ა) საჯარო მოხელის ცოდნა-უნარების დადგენას
ბ) შეფასების შედეგების შემდგომ გამოყენებას პროგრამის გასაუმჯობესებლად
გ) სწავლის შედეგების რეალისტურობის დადგენას და გაზომვადობას.

მუხლი 3. აკადემიური მოსწრების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები

3.1. მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია საჯარო მოხელეთა (მსმენელთა) მოსწრების შეფასება, რომელიც ითვალისწინებს მოდულის სპეციფიკას, ჯგუფში მსმენელთა რაოდენობას მსმენელის ინდივიდუალურ ცოდნას, უნარებს და შედეგების დინამიკას, მიღებულ შეფასებებს.
3.2. მსმენელთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად დგინდება:
ა) პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების/ მოდულების ხარისხი
ბ) შერჩეული თემების მართებულობა/რელევანტურობა
გ) გამოყენებული სწავლა/სწავლების/შეფასების მეთოდების ადეკვატურობა
დ) საჯარო მოხელეთა მომზადების დონე.

მუხლი 4. პროგრამის შედეგების შეფასება

4.1.პროგრამის შედეგები ფასდება შემდეგი სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით:
მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული მოდულები. აქ აღწერილი შედეგები მიღწეულია იმ შემთხვევაში, თუ თითოეული მოდულისთვის მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში დარეგისტრირებულ საჯარო მოხელეთა 70% წარმატებით გაივლის სასწავლო კურსს.
4.2. პროგრამის შეფასების შედეგებს აანალიზებს უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების ცენტრი და ხარისხის მართვის სამსახური.

მუხლი 5. პროგრამის და სწავლის შედეგების შეფასების საჯაროობა
5.1 პროგრამებისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.